№ 23
სამშაბათი 29 იანვარი 1902 წ.
გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1902

ივერია

№ 23
სამშაბათი 29 იანვარი 1902 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

იქვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი“ № 888

პანაშვიდები
გრაფის ევგენი ნიკოლოზის ძის

აპრაქსინის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება ყოველ-დღე დღის 2 საათსა და საღამოს 7 საათზე, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ღრმად მწუხარენი გრაფინია ანასტასია გრიგორის ასული აპრაქსინისა, კნეინა თამარ გრიგორის ასული დადიანისა და თავადი იოსებ იულონის ძე დადიანი. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—274—1).

„ივერია“

გამოვიდა 1902 წელს
(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

გადიდებულის ფორმატისა

იმავე პროგრამით, როგორც წინად

თან-და-თანობითმა ზრდამ მკითხველთა მოთხოვნილებისამ და იმ გარემოებამ, რომ პატარა ფორმატი გაზეთისა ნებას არ გვაძლევდა საჭირო საგნებისა და საზოგადო საკითხებისათვის ჯეროვანი ადგილი დაგვეთმო ხოლმე,—გვაიძულა გაგვედიდებინა გაზეთი და გაგვეხადა ახლანდელის ზომისა. ჩვენს გაზეთს ამ რიგად მოემატა ნახევარი იმისა, რაც აქამდე იყო.

ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

ფასის გარდახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: 5 მან. ახლავე, 5 მან. მაისის გასულს.
გაზეთის დასაბარებლად უნდა მიჰმართონ:
ტფილისში—„ივერიის“ რედაქციას (ნიკოლოზ. ქუჩა, № 21).
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. წიგნის მაღაზიას (**სასახლის ქ., თავად-აზნაურობ. ქარვ.**)
ქუთაისში—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიას
ბაქოში—ხიდდეკელის წიგნის მაღაზიას (ნიკოლოზ. ქ. ქალანთარის ქარვასლის პირ-და-პირ).
ტელეფონი № 227.
საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія“.

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 31 იანვარს, 1902 წ.
ქართულის დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება

სვ. პ. ხვიმონიძის საბენეფისოდ

პირველად ახალი პიესა

სოდომის წარღვნა

დრამა 5 მოქ. ზუდერმანისა, თარ. გველესიანისა

მონაწილეობას იღებენ: ქალბატონნი: გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, კარგარეთელი, ლეჟავა, მდივანი; ბატონნი: გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, პედევანოვი, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე.

დასაწყისი 8 საათზედ.
ფასები ჩვეულებრივი.
რეჟისორი ვ. გუნია.
მზადდება: **„ზოგი ჭირი მარგებელია“, „ავადმყოფნი“.**

ოთხშაბათს, იანვრის 30-ს,
კრუჟოკის დარბაზში
გამართული იქნება

კონცერტი

სახალხო კითხვების თანხის გასაძლიერებლად.
(3—6.—1).

მკურნალი

ნ. ტ. მულინი.

იღებს ყურით, ყელით და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნი 17. (წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყელთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავიავს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

გ. გ. მალალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12ს.

დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულბანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. გ. მალალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.

გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა. 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მალალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ღამ-ღამობით ექიმების მორიგობაა, ღამის 9 საათიდგან დილის 7 საათამდე. მსურველთ შეუძლიანთ სახლშიაც წაიყვანონ.

წმ. ნინო და მისის დღესასწაულის აღდგენა.

ვისაც-კი წაუკითხავს რამ სოფლის ისტორიიდგან, ეცოდინება, რომ ყოველ ისტორიულ ხალხის ცხოვრებაში ყოფილა იმისთანა ხანა, რომელსაც ღრმა კვალი გაუვლია მისს არსებობაში, შექმნილა მისის იტორიის ქვაკუთხედ, დასაწყისად წარმატებისა. უთუოდ ყოველს კულტურულს ერს მოეპოვება იმისთანა ხანა, როდესაც თავი უჩენია სამშობლოსათვის დახმარებით რომელსამე მის შვილს და ღვაწლით შემოსილა.

ხალხი და შთამომავლობა ამ გვარს ღვაწლმოსილს შარავანდედით ამკობს, აღმერთებს, ადიდებს, გმირთა-გმირად მიაჩნია, სულ ერთია რომელს ასპარეზზედაც უნდა ეღვაწნოს, სასულიეროსა თუ სამხედროზედ.—ხალხს მხოლოდ ამ გვარნი მნათობნი ამშვენებენ და ასულდგმულებენ. ვაი, იმ ერს, რომელსაც დაჰკარგვია ჯეროვანი პატივისცემა თავის შუქმფინარ მოღვაწეთა! ვაი, იმ სახელმწიფოს და სამეფოს, რომელსაც თავი არ მოსწონს მით, რომ მასაც ჰყოლია დიდებულნი გვამნი! ვაი, იმ საზოგადოებას, რომელიც მომავალს თაობას არ ასწავებს ღირსეულ პატივის-ცემას სამშობლოსათვის თავდადებულთა!

ამ გვარნი სადიდებელნი და სათაყვანო გმირნი ჰყავთ ფრანგებს, ინგლისელთ, ბერძნებს, რუსებს, სომხებს, ჩვენცა და ბევრს სხვასაც. ეს გმირნი, თუ ხშირად არა, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გაახსენდებოდეს ერს სათაყვანოდ და სადიდებლად. ასეთია ფრანგების ჟანა-დ-არკი, რუსების ალექსანდრე ნეველი, სლავიანების კირილე დ მეთოდი, სომხების—გრიგოლ განმანათლებელი, ჩვენი წმ. ნინო და სხვ. ამ მნათობთა სახელობაზედ აგებენ ტაძრებს, აწესებენ დღესასწაულებს, აარსებენ ათას გვარს კეთილსა და საქველ-მოქმედო საზოგადოებასა, თავშესაფარსა და ძმობასა. დღეს მთელი რუსეთი და სლავიანთა ტომი დღესასწაულობს დიდის მოწიწებით კირილესა და მეთოდის ხსენებას. ჩვენც ვალდებულნი ვართ ეს დღე ოფიციალურად ვიდღესასწაულოთ და ვიუქმოთ. ყოველი სომეხი მოვალეა იდღესასწაულოს წმ. გრიგოლ განმანათლებლის ხსენების დღე. მოსწავლე ახალგაზრდობაც თავისუფალია იმ დღეს და სასწავლებლად არ მიდის. სომხობას თავი დავანებოთ და ავიღოთ თუნდა ახატნელი თათრები თელავის მახლობლად. იმათაცა აქვთ სკოლა, მაგრამ განა როცა ბაირამობაა, ან ყურბანას და ალიას დღე მოდის, მთავრობა უარს ეუბნება, არა, ყმაწვილები უთუოდ მოვიდნენ სკოლაშიო?—სულაც არა. ისინი ამ დღეებში თავისუფალნი არიან. ჩვენ-კი არა.

ჩვენ ამ საქმეშიაც დაქვეითებული ვართ. ავიღოთ, მაგ. წმ. ნინოს დღესასწაული. გარდა იმ ორიოდე სკოლისა, რომლებიც მისს სახელობაზედ არის დაარსებული, ვინ და სად დღესასწაულობს? თითქმის რომ არავინ და არსად, თუმცა უწმიდესის სინოდის ბრძანებაა, რომ ეგ დღე უთუოდ უნდა იდღესასწაულოს ქართველობამ. ამ დიდებულს დღეს-კი ყველა უწყებაში საქმიანობაა, ყველა სასწავლებელში სწავლაა, ყველა სახელოსნოში მუშაობაა! თვით ჩვენს ხალხს სრულიად დაავიწყა გარემოებამ თავისი განმანათლებელი და გამაქრისტიანებელი წმ. დედა. სადღაა ძველებური მისი თაყვანის ცემა და მისი დღესასწაული?! ჩვენდა სასირცხვილოდ, ოცს სოფელში ორგან არ სრულდება ამ დღეს წირვა და ორს კაცს ვერ ნახავ ეკლესიაში; ოცს ეკლესიაში ორგან არ მოიპოვება მისი ხატი.

ვგონებ, თუ გვსურს, რომ ჩვენც ხალხი გვეთქმოდეს, თუ გვსურს ჩვენმა ეროვნებამ თავისი ელფერი არ დაჰკარგოს და თავისი ეროვნება შეირჩინოს, დროა თვალები მოვიფშვნიტოთ, ყურები გამოვიბერტყოთ, გამოვერკვიოთ საღათას ძილიდგან და ამ ჟამად ეს მაინც მოვიმოქმედოთ, რომ ხსენება წმ. ნინოსი ყოველ წლობით ჯეროვანად სრულდებოდეს ჩვენში. ეს ძნელიც არ არის, თუ ჩვენი სასულიერო და საერო მოღვაწენი არ დაიზარებენ. საჭიროა ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურთა კრებაზედ იქმნეს დადგენილი, რომ ეთხოვოს მთავრობას ამ ორს გუბერნიაში, სადაც მოსახლეობს ქართველი ტომი, იქმნეს წმ. ნინოს დღესასწაული აღიარებული საყოველთაო უქმედ, როგორადაც არის უქმე დღე კირილეს და მეთოდის ხსენებისა. ჩვენნი ყოვლად-სამღვდელონიც უეჭველია სასულიერო მთავრობას განუმარტავენ ამ საგნის საჭიროებას.

ამას გარდა, ურიგო არ იქნება იქმნეს გადღებული რამდენიმე ასი ცალი ხატი წმ. ნინოს ძველის ხატის დედნიდამ და დაურიგდეს სამრევლო ეკლესიებს თავიანთის საფასით.

აგრეთვე მიეწეროს ყოველის ეკლესიის კრებულს, რომ ამ დღეს წირვა სრულდებოდეს ლიტანიით, წმიდის ცხოვრების მოძღვრებით.

მღ—ი ხატიაშვილი.

დეპეშა

პეტერბურგი. 28 იანვარი.
(ჩვენის კორესპონდენტისაგან(

ტფილისის თავად-აზნაურობის დეპუტაცია გუშინ მიწვეულ იყო პეტერბურგის საგუბერნიო ამრშალთან საუზმეზე, შემდეგ-კი სადილზე. რომელიც უმაღლესმა კარმა გაუმართა პეტერბურგის თავად-აზნაურობას. საღამოზედ პეტერბურსათავად-აზნაურო საკრებულოში პეტერბურგის თავად-აზნაურების მიერ ტფილისის დეპუტაციის პატივსაცემლად გამართულ იქმნა რაუტი. რაუტს დაესწრნენ: დიდი მთავრები ნიკოლოზ და სერგი მიხეილის ძენი, მინისტრები ამათი ამხანაგები. მდიდრულად მორთული საკრებულოს დარბაზი 11 საათზე ბრწყინვალე საზოგადოებით გაივსო „ხორები“ სავსე იყო მანდილოსნებით. რაუტი შესდგებოდა საკანცერტო განყოფილებისაგან, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ საიმპერატორო თეატრის არტისტები: სლავინა, ფიგნერი და სხ. ანდრეევის „ბალალაეჩნიკების“ ხორო, ბოშების ხორო და სხ. დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის და რაუტზე მყოფ დიდის მთავრების სადღეგრძელოების aმდეგ წარმოთქმულ იქმნა ქართულ თავად-აზნაურობის, ტფილისის საგუბერნიო მარშლისა, სამაზრო მარშლებისა, და დეპუტატის დანარჩენ წევრთა სადღეგრძელოები. რაუტი გათავდა ბრწყინვალე სიტყვებით, რომელშიაც წარმოსთქვეს: პეტერბურგის საგუბერნიო მარშალმა ზინოვიევმა, გრაფმა ბობრინსკიმ, სენატის ობერ-პროკურორად ნამყოფმა მხცოვანმა სუბჩოვმა, ტფილისი გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალმა და დეპუტაციის ზოგიერთმა წევრებმა და სხვებმა. დასასრულ, პეტერბურგის თავად-აზნაურობამ მიართვა დეპუტაციას „ბრატინა და ჩარკები“. რაუტი დასრულდა დილის 4 საათზე.

ახალი ამბავი

⁂ შაბათს, 26 ამ თვეს, საქალებო გიმნაზიის შენობაში დანიშნული იყო ტფილისის სახალხო სკოლების დირექტორის მიერ სხდომა, რომელზედაც ქ-ნ ვორობიოვისამ წაიკითხა ლექცია შემდეგ საგნების შესახებ: ა) ამერიკის სასკოლო გამოფენა პეტერბურგში, ბ) ბუნების მეტყველება, როგორც მთავარი საგანი სკოლაში სწავლებისა და გ) ტენიშევის სასწავლებელი, რომელმაც შემოიღო ამერიკის სკოლების საუკეთესო მეთოდი. სხდომას დაესწრნენ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მ. რ. ზავადსკი, ტფილისის სახალხო სკოლების დირექტორი ბ-ნი დიმიტრიევი, ამავე გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორები ბ-ნნი პავლოვი და პერევოზნიკოვი და ქალაქისა და პირველ-დაწყებით სკოლების მასწავლებელნი. ქ-ნ ვორობიოვისამ მთელი ორის საათის განმავლობაში მოუთხრო მსმენელთ დაწვრილებით ამერიკის პირველ-დაწყებითს სკოლებში სწავლის მდგომარეობის საქმე და ეგრედ წოდებულ „ამერიკულ მეთოდის“ უმთავრესი დედა-აზრი და საფუძველი. ამერიკის მეთოდის უმთავრესი საფუძველი, ქ-ნ ვორობიოვის სიტყვით, აშენებულია იმ მოსაზრებაზე, რომ ყმაწვილმა შეითვისოს და შეისწავლოს ყველა ის ცხოვრების მოვლენა, რომელიც გარს არტყია, რომელსაც იგი მუდამ ჟამს, შინ თუ გარედ, უცქერის, ითვალისწინებს, რომელიც მას ნანახი და ნაგრძნობი აქვს. ამ საგნის მისაღწევად ამერიკის პირველ-დაწებითს სკოლას განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს ხატვისა და ბუნების მეტყველების შესწავლაზედ. ეს უკანასკნელი საგანი უმთავრესს საგნათაა მიჩნეული პირველ-დაწყებითის სკოლის სწავლებაში. კრიტიკული განსჯა ამერიკის მეთოდისა იმ სახით, როგორადაც ეს ქ-ნ ვორობიოვისამ მოუთხრო მსმენელებს, გადადებულ იქმნა 9 მომავალ თებერვლისათვის. დაწვრილებით შინაარს ქ-ნ ვორობიოვის ლექციისას მკითხველებს სულ მოკლე ხანში გავუზიარებთ.

⁂ ტფილისის I განყოფილების მომრიგებელი მსაჯული თ—დი ალ. ნიკ. ჭავჭავაძე დაინიშნა ტფილისისავე ოლქის სასამართლოს წევრად.

⁂ კვირას, 27 იანვარს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ორი პიესა: „არსენა“ და „ხანუმა“. ორივე პიესამ, განსაკუთრებით „ხანუმამ“ კარგად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო.

⁂ მიწათ-მოქმედების სამინისტროს განუზრახავს ძირითადად შესცვალოს ბოტანიკურ ბაღების წესები და და მათი დანიშნულების საგანი კავკასიასა და ყირიმში. ახალი პროექტით ბოტანიკური ბაღები ვალდებულნი იქმნებიან გაავრცელონ ხალხში საუკეთესო ჯიშის ვაზები და ხეხილი, უპირატესად ნუშისა, ატმისა და გარგარისა.

⁂ ამ თვის 30-ს ტფილისის სახაზინო თეატრში წარმოდგენას ჰმართავენ მეორე საქალებო გიმნაზიის სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქნება ოპერა: „**Пиковая дама**“ ქ-ბ. რიონოვის მონაწილეობით.

⁂ იანვრის 30-ს მოსკოვში აპირებენ ჩვეულებრივის ეტნოგრაფიულ კონცერტის გამართვას. სხვათა შორის, ამ კონცერტზე მონაწილეობას მიიღებს ჩვენის თანამემამულეს დ. არაყიშვილის ქართული ხორო. „**Русск. Вѣдомости**“-ს სიტყვით, ეს ხორო იმღერებს ამ კონცერტისათვის საგანგებოდ შესწავლილ ისეთს საერო სიმღერებს, რომელნიც წინანდელ კონცერტებზე არ მოუსმენია საზოგადოებას.

⁂ ბაქოს კლუბის წევრთ დაუარსებიათ ახირებული თანამდებობა—„კლუბის ზედამხედველისა“, რომლის მოვალეობაც იგივე იქნება, რაც კლუბის სხვა მორიგ უხუცეს-წევრისა (**старшина**), მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ ზედამხედველს კაი ძალი ჯამაგირს —3,600 მანეთს უნიშნავენ წელიწადში...ამბობენ, არა ერთი და ორი ინჟენერია, კრიზისის გამო უსაქმოდ დარჩენილი, მონდომებული ამ თანამდებობის მიღებასაო.

⁂ **სოფ. ივლიტა** (ახალციხის მაზრა): აქაური ეკლესია ძალიან დაძველებულია. ეკლესიას-კი არა, უფრო ძველს სახლსა ჰგავს. საეკლესიო შენობა-კი კრებულისათვის ჩინებული ახალი სახლია. ბარემ კარგი იქნებოდა, რომ იმ ფულიდგან, რაც ამ სახლს მოჰხმარდა, ცოტა მაინც ეკლესიის შეკეთებას მოჰხმარებოდა, მაგრამ ვინ არის პატრონი?! ამ სოფელში სულ 4 კომლია კათოლიკე ქართველია, ხოლო 70 კომლი ამ ეკლესიის მრევლისა სცხოვრობს ახალციხეში, რომელიც მხოლოდ 2 ვერსზეა აქედან. ამოდენა მრევლს, ვგონებთ, უნდა შეეძლოს ცოტათი მაინც შეაკეთოს ეკლესია.

იმერეთის ამბები:

—

⁂ ამ თვის 20-ს შესდგა წლიური კრება კუხ-გუბის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის წევრთა. საანგარიშო 1901 წლის განმავლობაში ამხანაგობას მოგება ჰქონია 2000 მანეთი. დივიდენდად წევრთ დარიგებიათ 11% (მანეთზე თერთმეტი კაპეიკი). ამხანაგობას ერთხმად დაუდგენია შემუშავებულ იქმნას გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა კავშირის წესდება. სხვა ამხანაგობათთანა შეთანხმებით და თავის მხრივ იქვე აურჩევიათ კომისია, რომლისთვისაც დაუვალებიათ ამ საგნისათვის მზრუნველობა.

რუსეთი

მოსკოვის ერობას განუხილავს ის საგანი, თუ როგორ იქმნის გავრცელებული გუბერნიაში სახალხო საკითხავები. ერობას გადაუწყვეტია დააწესოს ყოველს მაზრაში თანამდებობა სახალხო საკითხავების გამგისა.

— მოკლე დროში რუსეთის რკინის გზებზე შემოღებულ იქმნება განსაკუთრებული იაფის ფასის ბილეთები მოსწავლეთათვის.

— პეტერბურგშიაც დაარსებულა იმ გვარივე „საქორწინო“ კასსა, როგორიც ამას წინად დაარსდა ვარშავაში.

— საერო განათლების მინისტრის ამხანაგმა აცნობა ოდესის სამოსწავლო მთავრობას: სამინისტრო წინააღმდეგი არ არის იმისა, რომ პირველ-დაწყებითს ორ-კლასიანს სასწავლებელში ასწავლონ ჰიგიენა და მედიცინა; ამ საგნების სწავლება შეუძლიან როგორც სასწავლებლის მასწავლებელს, ისე სხვა გარეშე მცოდნე კაცსაც.

— ჩრდილოეთ-დასავლეთ გუბერნიების ზოგიერთს „ვოლოსტებში“ ამ ბოლოს დროს არსდება საზოგადოებანი ღარიბთა დასახმარებლად. ამ გვარის საზოგადოების საგანია— დაეხმაროს სოფლის მუშა ხალხს, როცა სამუშაო შემოელევა და აგრეთვე მოხუცებულობის დროს. საზოგადოებას აარსებენ ადგილობრივნი მკვიდრნი თავიანთ ღონისძიებით. საზოგადოება ეხმარება ღარიბებს ტანისამოსით, საჭმელ-სასმლის მიწოდებით და სხვა. ასეთი საზოგადოება საზოგადო საცხოვრებლით არსებობს ღ. ბეიტიგოლში (კოვ. გ.). აქ მთელი ვოლოსტი გაყოფილა რამდენსამე ნაწილად და თითო ნაწილს თავისი მზრუნველი და გამგე ჰყავს. პირველად ხალხი არ ენდობოდა ამ საზოგადოებას, ეხლა-კი ყველას შეუყვარდაო. შემოწირულებანი ბლომად მოდის და საზოგადო ბეღელი (ამბარი) თან და თან იზრდებაო. ბევრს მუშას ეხმარება დღეს საზოგადოება ტანისამოსით, საჭმელ-სასმლის მიწოდებითა და ბინის მიცემით. ახლა სხვა ვოლოსტებიც თურმე ჰბაძავენ ბეიტიგოლს.

— ტამბოვის ექიმთა საზოგადოება ეს მესამე წელიწადია ჰმართავს სახალხო საკითხავებს ფიზიოლოგიისა, ანატომიისა, ჰიგიენისა, ფიზიკისა, ქიმიისა და ფსიხოლოგიიდგან. საკითხავებს საზოგადოება ყოველთვის ბლომად ესწრება. დეკემბერში აქ საბავშვო გასართობთა საზოგადოება შეუდგა საკითხავების მართვას ყმაწვილებისათვის; ყოველი ასეთი საკითხავი შესდგება ორის ნაწილისაგან—ერთი. მეცნიერებისა და მეორე სიტყვა-კაზმულის მწერლობის შესახებ.

— იაროსლავლის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა შემცირებულ იქმნას თავად-აზნაურთათვის საერობო არჩევანის ცენზი.

— ამას წინად ორიოლის სატუსაღოში პატიმართ არეულობა მოუხდენიათ. მიზეზი ყოფილა შემდეგი გარემოება: როგორც ვუწყით—სატუსაღოები სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საზოგადოებათაგან შემოწირულებას იღებენ. წინად ამ შეწირულებათ ორიოლის სატუსაღოში საარტელო სტაროსტები ანაწილებდნენ პატიმართა შორის. ეხლა-კი ამ მოვალეობას ასრულებს სატუსაღოს უფროსი, რომელიც ზოგს მეტს აძლევს, ზოგს ნაკლებს, ზოგს-კი სრულიად არაფერს. გარდა ამისა, ახალმა უფროსმა აუკრძალა პატიმრებს იმ დერეფანში სიარული, სადაც წინად თავისუფლად დასეირნობდნენ და საზოგადოდ ეხლანდელი უფროსი სხვებზედ უფრო სასტიკად ეპყრობოდა პატიმრებს.

— 22 იანვარს ჰქონია პირველი კრება საშუალო სკოლის რეფორმის კომისიას. კომისიის თავმჯდომარეა მინისტრი ვანნოვსკი, წევრები—მინისტრის ამხანაგი მეშჩანინოვი, ბეჭდვის საქმის სამმართველოს უფროსი შახოვსკი, სხვა სამინისტროთა წარმომადგენელნი, პეტერბურგის და მოსკოვის სოლქო მზრუნველები, აკადემიკოსი პიპინი, კერძო გიმნაზიის დირექტორი გურევიჩი, მოსკოვის უნივ. პროფესორი კირპიჩნიკოვი და სხვ. და სხ.

— ფინლანდიის სენატმა მიანდო პროკურორს მიიღოს საჭირო ღონისძიება უფროს პასტორის ტოპენის წინააღმდეგ, რომელმაც თავისს სამრევლოში არ შეადგინა სია იმ ახალსაზრდა კაცებისა, რომელთაც წელს უნდა გადაიხადონ სამხედრო ბეგარი.

უცხოეთი

სპარსეთი. მეტად საინტერესო ამბებსა წერენ სპარსეთის „შესახებ კონსტანტინეპოლელ გაზეთს „არეველკს“. „ევროპიელნი,—იუწყება კორესპონდენტი,—ათას რამედ ამბობენ და სწერენ რუსეთისა და ინგლისის მეტოქობის შესახებ სპარსეთში. ინგლისის სასარგებლოდ აცხადებენ: ამ სავაჭრო-სამრეწველო ხანაში უცხო ადგილებში ის სახელმწიფო იმარჯვებს, რომლის ვაჭრობა-მრეწველობაც განვითარებულია, რომელიც სატეხნიკო ცოდნითაა აღჭურვილი და დიდ-ძალ საქონელს ამზადებს. ამ მხრივ ინგლისი ბევრად მაღლა სდგას რუსეთზედ. თავისის ძალ-ღონით, თავისის კაცებით რუსეთი იმ მდიდარ მადნების წარმოებასაც ვერ შესძლებს, რომლითაც აგრე უხვად დაუჯილდოვებია ბუნებას ურალი, კავკასია და იმპერიის სხვა ადგილები. ჯერ ეხლავე ქარხნები ამ ადგილებში უცხო ქვეყნელთა ხელში გადავიდა. რუსეთის მწერლობის ერთი ნაწილი დღე-დამ წუწუნებს და უკმაყოფილებას აცხადებს გერმანელებისა, ბელგიელებისა, ებრაელებისა, რუსეთის ქვეშევრდომ სომხებისა, სპარსელებისა და თათრების წინააღმდეგ, რომელნიც ბევრს ადგილას ქარხნებისა და სხვა სავაჭრო დაწესებულებათა პატრონნი არიან... მაგრამ ვინ უშლის რუსებს გააერთიანონ თავიანთი კაპიტალები, შექმნან სინდიკატები და შეუდგნენ თავიანთ სამშობლოს სიმდიდრის დამუშავებას? აშკარაა რუსებს ბევრი რამ აკლიათ იმისთვის, რომ მეტოქობა გაუწიონ უცხო ქვეყნელთ და რუსეთის ქვეშევრდომ პოლონელებს, ებრაელებს, ფინნებს, სომხებს, სპარსელებსა და თათრებს. განა ასეთ პირობებში და ასეთი უმოქმედო ხალხი მოახერხებს ინგლისელებისა, გერმანელებისა, ბელგიელებისა და ფრანგების განდევნას შორეულ სპარსეთიდგან, თუნდაც ეს სპარსეთი რუსეთმა რკინის გზით შეუერთოს ამიერ-კავკასიას? ერთად-ერთი ხელშემწყობი ელემენტი რუსეთის ვაჭრობის გასავრცელებლად სპარსეთში სომხები არიან, მაგრამ რანი არიან სომხები? მხოლოდ წვრილი ვაჭრები ქალაქებში და შუამავლები უცხო ქვეყნელთა და სპარსთა შორის, რომელთ-ენასა და ზნე-ჩვეულებას ისინი ძალიან კარგად იცნობენ. მაგრამ შუამავლობის როლი იმ დრომდე გასტანს მხოლოდ, ვიდრე ევროპიელნი სპარსეთში მაგრა ფეხს მოიკიდებენ, კარგად გაიცნობენ სპარსელებს და იმათთან მისვლა-მოსვლას განამტკიცებენ. ამის შემდეგ სომეხთა როლი გათავდება: ისინი ევროპიელთა ნოქრებად და აგენტებად გადაიქცევიან. ასე მოხდა, მაგალითად, ინდოეთს მე-XVII და XVIII საუკუნოებში. ვაჭრობა უკეთ რომ ვსთქვათ, შუამავლობა ამ საუკუნოებში სომხების ხელში იყო. დიდი-ძალი ქონებაც შეიძინეს იმ დროს, მაგრამ მოვიდნენ ინგლისელები, გაიცნეს ინდოეთი და არ გასულა დიდი დრო, რომ ბაზრიდგან სომხები სრულიად განდევნეს. ესევე ბედი ეწვევათ სომხებს (ნიშნებს დღესვე ვხედავთ) სპარსეთის ნავთ-სადგურებსა და სავაჭრო ქალაქებში: ენზელსა, მეშედესერსა, ბალფრუშსა, ყაზვინსა, ახალ ჯულფსა, თეირანსა, თავრიზსა, გამადანსა, შირაზსა და ბუშირში. ყველგან სომხები პოზიციას უთმობენ ევროპიელებს, ებრაელებს და ბერძნებს, რომელნიც აარსებენ ამ ადგილებში თავიანთ სააგენტოებს და ფაქტორიებს. აბა შეხედეთ, მაგალითად, ციგლერის ფირმის მოქმედებას? კაპიტალის მეოხებით ამ ფირმამ ხელთ ჩაიგდო ხალიჩებით ვაჭრობა მთელს სპარსეთში. ფირმამ საკუთარი ქარხნებიც დააარსა სულთანაბადსა, ყიაზახსა და ქიამარში. ასევე იმოქმედებენ სპარსეთში ინგლისის სხვა ფირმების წარმომადგენელნი. რა დაემართება მაშინ ესოდენ გაზვიადებულ რუსეთის გავლენას სპარსეთში? განა ევროპიელებთან მეტოქობად ჩაითვლება ის ცოტაოდენი ქიშმიში და ხმელი ხილი, რომელიც სომხებს რუსეთში შეაქვთ სპარსეთიდგან, და ის ორიოდე ნაწარმოები, რომელიც რუსეთიდგან სპარსეთში შეაქვთ? ცნობილია, რომ სადაც სავაჭრო გავლენა არ არის, იქ არც პოლიტიკურ გავლენასა აქვს ადგილი“.

საფრანგეთი. გუშინდელ ნომერში ვწერდით სოციალისტთა მოქმედების შესახებ ქალაქ რუბელში. ამ ქალაქის თვით-მმართველობა მთლად სოციალისტებმა, ეგრედ წოდებულმა გედისტებმა, ჩაიგდეს ხელთ. თავიანთ მხნე, განათლებულ და უანგარო მერის კარეტტის მეთაურობით გედისტებმა ბევრი რამ გააკეთეს ქალაქის ღარიბ მცხოვრებთა და მუშათათვის. ახალმა საბჭომ სულ ერთიან გადაჰქმნა ის ბიურო, რომელიც საზოგადო ქველ-მოქმედებას განაგებდა. გაადიდა ამ ბიუროს თანხა და დააწესა, რომ შეუძლებელთ უსასყიდლოდ პური სახლებში დაურიგდეთ ხოლმე. ამავე საბჭომ გაადიდა თავ-შესაფართა სუბსიდია, დაუნიშნა 120 ფრანკი პენსია. წლიწადში იმ ხელ-მოკლე და შეუძლებელ მოხუცთ, რომელნიც თავიანთ ოჯახებში სცხოვრობენ, გამართა ოთხი იაფ-ფასიანი სასადილო ღარიბთათვის, დაუნიშნა ერთხნობით სუბსიდიები იმ ღარიბ ყმაწვილ კაცთ, რომელთაც ჯარში გასვლა ჰხვდათ წილად, შეუდგა პატარა სახლების აგებას იმ ღარიბ ქვრივთათვის, რომელთაც მცირე-წლოვანი ბავშვები ჰყავთ. გამართა ბავშვთა თავ-შესაფარები, საზაფხულო სასკოლო ახალშენები ღარიბ ბავშვთათვის. დიდი ყურადღება მიაქცია ყრმათა და მოზრდილთა სკოლის გარეთ განათლებას, ზომები მიიღო ქალაქის, განსაკუთრებით ღარიბ უბნების, ჰიგიენურ პირობათა გასაუმჯობესებლად, შემოიღო რვა საათის სამუშაო დღე, იზრუნა საფოსტო უწყებასა და ქალაქის ტრამვაებში მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მრავალი სხვა დიდად საკეთილო და სასარგებლო საქმე გააკეთა. რაღა ლაპარაკი უნდა, გედისტთა ასეთი მოქმედება არაფრად ეჭაშნიკებოდათ ქალაქის სხვა წრეებს და აი, ეხლა ეს წიგნი, მდიდარის ქარხნის პატრონის მოტტის მეთაურობით მხნედ შეუდგნენ სოციალისტთა განდევნას ქალაქის თვით-მმართველობიდგან.

— მუშათა მწარმოებელ ასოციაციათა მთავარი საბჭო დიდ ნადიმსა ჰმართავს, რომელზედაც თავმჯდომარეებად მიწვეულნი არიან ვალდეკ-რუსსო და მილიერანი. ამ ნადიმს იმიტომა ჰმართავს, რომ ჰსურს მთავრობამ თავისი აზრი გამოსთქვას მუშათა საკითხის შესახებ. ნადიმი პარიჟში გაიმართება, თებერვალში.

ამერიკის შეერთებული შტატები. მკითხველებმა უწყიან, რომ შტატების რესპუბლიკამ დანიისაგან იყიდა ვესტ-ინდიის კუნძულები. ორივე მხარეს უკვე ხელი მოუწერია ხელშეკრულებისათვის. შტატებს ამ კუნძულებში დანიისათვის 10 მილიონი დოლლარი მიუცია. სულ სამი კუნძული იყიდა რესპუბლიკამ— წმ. თომას, წმ. იოანეს და წმ. ჯვრისა, ზომით სამივე 359 ოთხ-კუთხი კილომეტრი. სცხოვრობს ამ კუნძულებზედ 33 ათასი სული. დანიამ კუნძულები მე-17 და 18 საუკუნეში შეიძინა. 1867 წლამდე დიდი და მდიდარი პლანტაციები იყო კუნძულებზედ, მაგრამ 1867 წლიდგან პლანტაციები დაეცა. მიზეზი ხოლერა და მიწის-ძვრა იყო. მონობის გადავარდნამაც ცუდად იმოქმედა პლანტაციების განვითარების საქმეზედ. ბოლოს დროს კუნძულებიდგან ზარალის მეტი არავითარი შემოსავალი აღარა ჰქონდა მეტროპოლიას. აი, ეს იყო მიზეზი, რომ დანიამ კუნძულები შტატებს მიჰყიდა.

ინგლისი. ამას წინად ველსელებს ნადიმი გაუმართავთ, რომელსაც ცნობილი დეპუტატი ჯონ-მორლეიც დასწრებია. მორლეის სიტყვა წარმოუთქვამს და რამდენჯერმე შეჰხებია ლორდ როზბერის პოლიტიკას. გამოჩენილ ოპოზიციონისტს ის აზრი გამოუთქვამს, რომ შეუძლებელია როზბერი სალიბერალო დასის მეთაურად იქმნას მოწვეული. თუ ასე მოხდა, მე გავალ დასიდგანაო. დასმა არაფრის გულისათვის არ უნდა გადაუხვიოს წინანდელ პრინციპებს და არ მიიღოს როზბერის tabula rasa“-ს პოლიტიკაო. დასასრულ, მორლეის დაუმატებია, მე და გარკორტი ლიბერალთა კანონიერ ლიდერად კემპბელ-ბანერმანსა ვცნობთო.

— გუშინდელ ნომერში ცნობებია მოყვანილი ინგლისის ჯარის რაოდენობისა და იმ ხარჯის შესახებ, რომელიც ინგლის ომისს გამო მოსდის. ეს ცნობები სამხედრო მინისტრს წაუკითხნია პალატაში. შეცდომით ნათქვამია, რომ ინგლისს განვლილს წელს ომი 63 მანეთად დასჯდომია. 63 მილ.მილიონ მანეთი ინგლისს თვეში ეხარჯებოდა, მაშასადამე, მთელის წლის განმავლობაში დაუხარჯნია 756 მილიონი მანეთი.

სამხრეთ-აფრიკის ომი. გაზეთ „Sun“-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება: ჰოლანდიის მთავრობამ ოფიციალურად მიჰმართა შეერთებულ შტატების მთავრობას და სთხოვა ეცადოს როგორმე ინგლისის წინაშე, რომ ეს უკანასკნელი ბურებთან სამშვიდობო ოლაპარაკებას შეუდგესო. ამ საქმის გამო სახელმწიფო სეკრეტარს გეის თათბირი ჰქონდა სადიპლომატო კორპუსის წევრებთან. გადაწყვეტით ჯერ-ჯერობით არაფერი გადაუწყვეტიათ. კორესპონდენტი ბოლოში შენიშნავს, რომ ამ საქმეში რუზველტი ისევე მოიქცევა, როგორც მაკ-კინლეი მოიქცა, ე. ი. არ ჩაერევაო.

— რუსულ გაზეთს „ნოვოსტის“ დეპეშით ატყობინებენ, რომ ჰოლანდიის ნოტამ მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისში. ზავის დადება აუცილებელია. თვით მეფე გულით არის მოსურნე ზავისაო.

ჩინეთი. შემდეგსა სწერენ ჩინეთიდგან „Moчning Post“-ს: „საეჭვო აღარავისთვისაა, რომ ქვრივმა დედოფალმა სრულიად დაიმონავა ახალგაზრდა იმპერატორი. იმპერატრიცა და იუნგლუ ისე სასტიკად ექცევიან, რომ იმპერატორს ლაპარაკის ნებასაც-კი არ აძლევენ აუდიენციების დროს. როდესაც ახალგაზრდა იმპერატორი და იმისი მეუღლე ქვრივ იმპერატრიცასთან სადილობენ, მუხლის თავებზედ სდგანან და ისე შეექცევიან სადილს. ვიდრე მოხუცი მტარვალი არ წავა, ჩინეთის მბრძანებელს არც ფეხზედ ადგომა და არც სკამზედ დაჯდომა არ შეუძლიან.

დეპეშა

26 იანვარი.

პეტერბურგი. 26 იანვარს ერც-ჰერცოგმა პეტრე-პავლეს ტაძარში იმპერატორის ალექსანდრე მესამის საფლავი გვირგვინით შეამკო.

პეტერბურგის საბჭომ უკანასკნელს სხდომაზე გადასწყვიტა დაარსოს წელს 20 ახალი საქალაქო სკოლა, რისთვისაც გადადო 49,730 მან. ამასთანავე საბჭომ დაამტკიცა სწავლა-განათლების ხარჯთ-აღრიცხვა 1902 წლისათვის, რომელიც უდრის 1.450,000 მანეთს; ეს ხარჯი აღემატება შარშანდელს 130 ათას მანეთით.

26 იანვარს შესრულდა 30 წელიწადი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა საგლეხო რეფორმის მოღვაწე ნ. ა. მილიუტინი; ამის გამო გადახდილ იქმნა პანაშვიდი.

პეტერბურგის თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლად დიდის უმრავლესობით ისევ ა. დ. ზინოვიევი აირჩიეს.

დვინსკი. პირველ ნოემბრიდგან მომავალის წლის მაისამდე მიიღებენ განცხადებას იმათგან, ვისაც ჰსურს თავისი ნაწარმოები გამოგზავნოს სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და შინა მრეწველობის გამოფენაზე.

ვაშინგტონი. წარმომადგენელთა პალატის იურიდიულმა კომისიამ მოხსენება წარადგინა ახალის კანონ-პროექტის შესახებ. ეს კანონ-პროექტი იმის თაობაზეა შედგენილი, რომ პრეზიდენტი დაიცვან და მთავრობის წინააღმდეგ მიმართული წრეები აღკრძალონ. კანონ-პროექტს აზრადა აქვს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და ელჩები დაიცვას და ამერიკაში გადმოსახლება აუკრძალოს იმათ, ვინც ამერიკაში ბოროტ-მოძღვრებას ავრცელებენ. ამას გარდა, კანონ-პროექტს ისიც აქვს საგნად, რომ ამერიკაში განათლებულ ქვეყნების წინააღმდეგ შეთქმულობის გამართვა აკრძალოს და მთელს ამერიკაში ამისთანა ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ შესაფერი წესები შემოიღოს.

პარიჟი. „ფიგარო“-ში დაიბეჭდა პრინც ვიქტორ-ნაპოლეონის წერილი. ეს წერილი გენერალ ტომასენის სახელობაზეა დაწერილი. პრინცი თავის საარჩევნო პროგრამმაზე ლაპარაკობს და აცხადებს, რომ ჩემი მეგობრები ნაპოლეონიდებსაც ესარჩლებიან და ამავე დროს ხალხის უფლებასაც იცავენო. ამიტომ ჩემი მეგობრები უნდა ეცადნენ, კონსტიტუცია იმ ნაირად შესცვალონ, რომ ხალხს უფლება დაუბრუნდეს. თუ ხალხი მიმიწვევს, მზადა ვარ მთელი ჩემი ძალა და ღონე ხალხის სამსახურს მოვანდომოვო.

მოსკოვი. თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა, უმაღლესი დეპეშა, რომელიც მიიღო პასუხად, ოქროს ასოებით ამოსჭრას მარმარილოს ქვაზე და ჩამოჰკიდოს თავშესაფარ-პანსიონის საქტო ზალაში.

მოსკოვის მაზრის მარშლად აირჩიეს თავ. გოლიცინი,

მოსკოვი. პალატამ განიხილა სააპელაციო წესი, საქმე საპატიო მოქალაქის ლისეცკისა, რომელსაც ჰბრალდებოდა, რომ მან, მიითვისა-რა წოდება მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტისა, სტყუებდა ცოტ-ცოტა ფულს ნიჟნი-ნოვგოროდის ქველმოქმედ კაცებს. ამასთანავე ლისეცკი, რათა დაწვრილებით არა გამოეკითხონ-რა, ყველას უჩვენებდა მკურნალის მოწმობას, რომ ყრუ ვარო. პალატამ გადაუწყვიტა ლისეცკის ერთის თვით ციხეში დაპატიმრება.

ბელგრადი. გარდაიცვალა ფიუმეში სავაჭრო შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფი და ნამყოფი თავმჯდომარედ დიდის სკუპშჩინის, რადიკალთა დასის ერთის ფრაქციის წინამძღოლი კოსტა ტოგანოვიჩი.

ნოვოჩერკასსკი. წუხელის გაიარეს სამხრეთად მიმავალმა მათმა უმაღლესობამ პრინცმა ალექსანდრე პეტრეს ძემ და პრინცესსა ევგენია მაქსიმილიანეს ასულმა ოლდენბურგელებმა.

ოდესა. იმედი არა აქვთ გემის „ცესარევნას“ გადარჩენისა. რუსეთის საზოგადოებამ გემი გაგზავნა კონსტანტინოპოლიდგან მაშველებლად. გემი გაგზავნა ბოლგარიამაც ბურგასიდგან ფოსტისა და პასაჟირების გადასარჩენად.

ბუდაპეშტი. ოფიციალური გაზეთი „მადიარ ნემზეტი“ ამბობს, რომ რუსეთის საზოგადოების თანაგრძნობის მანიფესტაციები წარმოადგენენ სასიამოვნო დამატებას იმ ჩინებულს შთაბეჭდილებას, რომლითაც მიიღეს პეტერბურგში ერც-ჰერცოგი.—„Hazauk“-ი სწერს: კეთილი გადაწყვეტილებას რუსეთის იმპერატორისა, რომ გაუგზავნოს უნგრეთს ძვირფასი საეროვნო რელიკვია—ხმალი ფრანც რაკოჩისა, ყველასაგან ღრმა მადლობით იქმნა მიღებული. ასეთ გარემოებათა შორის მთელი ერი, სასიამოვნო იმედებით აღსავსე, მიესალმება მემკვიდრის პეტერბურგში გამგზავრებას, რომელსაც საგნად აქვს განამტკიცოს მეგობრობა რუსეთისა და უნგრეთის შორის.

ლონდონი. „სენ-ჯემსის გაზეთის“ თანამშრომელთან საუბრის დროს ტატიშჩევმა სთქვა: ინგლისთან შეთანხმება გულწრფელად სურთ რუსეთის ოფიციალურს სფეროში. სავაჭრო ურთიერთობა ორ სახელმწიფოს შორის თან-და-თან ძლიერდება. შესაძლოა განვითარდეს კიდევ უფრო უმეტესად, რადგან ბრიტანიისა და რუსეთის ექსპორტი ერთმანეთს კონკურენციას არ უწევს. ლონდონში რუსეთის სასოფლო მეურნეების ყოფნას, შესაძლოა, კარგი შედეგი მოჰყვეს.

28 იანვარი.

პეტერბურგი. 26 იანვარს საზამთრო სასახლის საკონცერტო ზალაში გამართული იყო სადღესასწაულო სადილი ერც-ჰერცოგ ფრანც ფერდინანდის პატივსაცემლად; ხელმწიფე იმპერატორმა და ერც-ჰერცოგმა ერთმანეთი ადღეგრძელეს. 27 იანვარს პატარა ეკლესიაში წირვის გათავების შემდეგ მალაქიტის ზალაში გამართულ იქმნა უმაღლესი საუზმე, რომელზედაც მიწვეული იყო ფრანც-ფერდინანდი ამალითურთ. 27 იანვარს ერც-ჰერცოგმა მიიღო ქალაქის დეპუტაცია, ქალაქის თავმა მიართვა პურ-მარილი. სათავად-აზნაურო საკრებულოში უმაღლესის კარის მიერ გამართული იყო სადილი პეტერბურგის თავად-აზნაურობისათვის; სადილზე მიპატიჟებული იქმნა ქართველ თავად-აზნაურობის დეპუტაცია, 27 იანვარს, სადამოს სათავად-აზნაურო საკრებულოს ზალაში პეტერბურგის თავად-აზნაურობამ ბრწყინვალე რაუტი გაუმართა ქართველ დეპუტაციას. ზალა მშვენიერად იყო მორთული. 27 იანვარს მოხდა კრება, რუსეთის წითელის ჯვრის საზოგადოების კრება; წაკითხულ იქმნა უმაღლესი ნებართვა, რომელიც აძლევს მოწყალების დებს და ქალებს-ფერშლებს ხაზინიდგან პენსიის მიღების უფლებას; კრებაზე წაკითხულ იქმნა აგრეთვე მოხსენება იმის შესახებ, რომ 16 მაისში პეტერბურგში შესდგება საერთაშორისო კონფერენცია წითელის ჯვრის საზოგადოებათა, რისთვისაც გადადებულია 50 ათასი მან.

ვარშავა. რადომში აკურთხეს წმ. ნიკოლოზის მართმადიდებელი ეკლესია.

მოსკოვი. 27 იანვარს, აკურთხეს გარდაცვალების დღეს ბოლგარელ სტუდენტების დეპუტაციამ შეამკო განსვენებულის საფლავი გვირგვინით, რომელსაც ზედ ეწერა: აკსაკოვს მოსკოვში მცხოვრებ მადლობელ ბოლგარელებისაგან. მეორე დეპუტაციამ სლავიანურ საზოგადოებისაგან შეამკო გვირგვინით, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: დიდებულის მებრძოლის სლავიანობისათვის.

ვენა. „Fremdeu llett“-ი აღნიშნავს ტრადიციონულ კარგს განწყობილებას ორსავე სახელმწიფოს შორის და რუსეთის პრესის თანაგრძნობას, რომლის კილო გვიჩვენებს იმას, რომ რუსეთის საზოგადოებაში მოხდა ცვლილება, რომლის მნიშვნელობის უარყოფა შეუძლებელია. არა მცირედი მნიშვნელობა აქვს მასაც, რომ ერც-ჰერცოგის პეტერბურგში მისვლას, როგორც მეგობრულის განწყობილებას დამამტკიცებელს, კარგი გავლენა ჰქონდა რუსეთის საზოგადოების აზრზედ.—Neues wioner Tageblat-ს რუსულ გაზეთების წერილებიდან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ რუსეთის პრესას სწამს ორის იმპერატორის შორის მეგობრულის განწყობილების გულწრფელობა.

კილი. რუსეთის სწრაფლ-მავალი კრეისერი „ასკოლდი“ წავიდა ლიბავაში.

ვაშინგტონი პრეზიდენტი რუზველტი წავიდა გროტონში (მასაჩუსეტში) თავის უფროსს შვილთან, რომელიც ფილტვების ანთებით არის ავად.

მოსკოვი. ხაზინამ მოხსნა 5 მილ. მან. სარჩელი ს. ი. მამონტოვის წინააღმდეგ იმ პირობით, რომ მამონტოვმაც ხელწერილი უნდა მისცეს ხაზინას, რომ მას არაფერი არა აქვს სადავო ხაზინასთან როგორც მოსკოვ-იაროსლავის რკინის გზის გამოყიდვის, ისე ამ გზის პაიების შეძენის შესახებ.

კიევი. სამოსწავლო ოლქის სამმართველოში არსდება საპედაგოგიო მუზეუმი საპედაგოგიო ცენტრალურ ბიბლიოთეკით.

სარატოვი. ქალაქის საზოგადო ბანკს წარსულს დარჩა წმიდა მოგება 71 ათ. მანეთზე მეტი, საურთიერთო ნდობის საზოგადოებას კი 76 ათ. მან.

დონის როსტოვი. ნოქართა საურთიერთო დახმარების საზოგადოებას აარსებს სავაჭრო სკოლას. საბჭომ გადასწყვიტა სტენოგრაფიის საქმის სკოლის დაარსება.

ლოძი. თებერვლის დამლევს პეტროკოვში გაიხსნება პეტროკოვის საზოგადო იარმარკა.

Дозвол. цензурою. Тифлисъ 28-го Января 1902 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლისა“ და ექვ. ხელაძის სტამბა ლორ.-მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. ხარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე